

## **თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა ახალი რედაქცია**

ნორმის პირველი ვერსია მოამზადა ივანე გიგინეი-შვილმა, გამოქვეყნებულია 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“.

ნორმის პროექტის ახალი რედაქცია 2019 წელს შეიმუშავა **თეა ზურჭულაძემ**.

წინამდებარე პროექტი განხილულია თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე (11.10.2019).

პროექტი დამტკიცებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის სხდომაზე (06.12.2019).

### **რაოდენობით და რიგობით რიცხვით სახელთა მართლწერა**

რიცხვითი სახელი სამი სახისაა: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი. ქართულში რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფუძე მარტივი და რთული შედგენილობისაა. მარტივია ერთეულების გამომხატველი სახელები: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ასევე: ათი, ოცი, ასი და რიცხვთა უმაღლესი კლასის გამომხატველი ნასესხები სახელები: მილიონი, მილიარდი (ბილიონი), ტრილიონი, კვადრილიონი და ა. შ.

ყველა დანარჩენი რიცხვითი სახელი რთული შედგენილობისაა: თერთმეტი (< ათერთმეტი), თორმეტი (< ათორმეტი), ცამეტი (< ათსამეტი), თოთხმეტი (< ათოთხმეტი), თხუთმეტი (< ათხუთმეტი), თექვსმეტი (< ათექვსმეტი), ჩვიდმეტი (< ათშვიდმეტი), თვრამეტი (< ათრვამეტი), ცხრამეტი (< ათცხრამეტი); ოცდაერთი, ოცდაშვიდი, ოცდაცხრამეტი, ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი, ას ერთი, ას ოცი, ას ორმოცდაცხრამეტი, ორასი, შვიდასი, ათასი, ათას ხუთასი, ოცი ათასი, ას ოცი ათასი და ა. შ.

რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელები თერთმეტიდან ცხრამეტამდე (ათერთმეტი... ათცხრამეტი), ოცეულების გამომხატველი სახელები (ორმოცი < ორმეოცი, ოთხმოცი <

ოთხმოცი...) და ასეულების შემცველები (ათას ასი, ათას ორასი, ათას შვიდასი...) მიიღება ფუძეების უკავშიროდ შეერთებით, ხოლო იმ რიცხვით სახელებში, რომლებიც გამოხატავენ რიცხვებს ერთი ოცეულიდან შემდგომ ოცეულამდე, ფუძეები და კავშირით არის შეერთებული ერთმანეთთან: ოც-და-შვიდ-ი, ოც-და-ათ-ი, ორმოც-და-ჩვიდმეტ-ი, სამოც-და-ცხრამეტ-ი, ოთხმოც-და-თერთმეტ-ი...

ათასეულების აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები თანამედროვე ქართულში **ათასთან** სახელობითი ბრუნვის ფორმითაა შეწყობილი მაშინაც, როცა ის სახელობით ბრუნვაშია და მაშინაც, როცა სხვა ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი.

მაგალითად:

მათვე შეიტანეს ჟამი იმ ციხეში, სადაც **სამი ათასი** ბერძენი და ხუთასი იბერიელი ტყვედ ჰყავდა ხალიფას (ვ. გამსახურდია); სპარსეთს იმოდენა ჰმართებს გურჯებისა, რომ **ასი ათასმა** თქვენისთანამ რომ ჩამოიხრჩოს თავი და სპარსელის ხსენებაც მოისპოს, ჩვენი ვალიდან მაინც ვერ ამოხვალთ (ნ. ლორთქიფანიძე); **ოთხმოცი ათასის** აღებასაც ჩემს მეტი ვერავინ ვერ მოახერხებს (მ. ჯავახიშვილი); რასაც მიწის ქვეშ ჰფარავდა გრძნობას **ასი ათასი** მდინარის გული (გ. ტაბიძე).

რაც შეეხება ძველ ქართულს, იქ ათასეულთა რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები **ათასთან** ფუძის სახით იყო წარმოდგენილი: ოდეს-იგი ჯუეზაჲ განუტეხე **ხუთ ათასსა** (მარკ. 8, 19); ინაჲ-დგა კაცებმან მან რიცხვთ ხუთ ათასმან (იოანე 6, 10); ოდეს-იგი ხუთი პური განვტეხე **ხუთ ათასთჳს** (მარკ. 8, 19); (ღორნი) იყვნეს ვ`რ ორ ათას (მარკ. 5, 13); ხოლო რომელთა ჭამეს, იყვნეს **ოთხ ათას** მამანი (მათე 15, 38); და ვპოვეთ პროპატიკეს ორ ათას და შუდი სული (წარტყ.); და ვპოვეთ ქუაბთა შინა და ორმოთა და ლაკუათა შინა და მტილთა ექუს **ათას ცხრაას** და ათშუდმეტი სული (წარტყ.).

მაგრამ ძველ ქართულ სალიტერატურო ენაშივე საკმაოდ ხშირად გვხვდება შემთხვევები, როცა ათასეულთა რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები **ათასთან** სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი: იყო რიცხვ იგი ყოველთაჲ მათ ერთბამად **სამეოცდაექუსი ათასი** და ხუთასი და ცხრაჲ სული (წარტყ.); განაძლო **ოთხი ათასი** სული (კიმენი I); და მოსრეს ძეთა ისრაჴლისათა ბენიამენი მას დღესა შინა **ოცდახუთი ათასი** და ასი კაცი (ოშკი, მსაჯულთა); მიანიჴა მამასა გრიგოლს და მოყუასთა მისთა დრამად

**ათი ათასი** (ხანძთ.); გამოზარდა **ექუსასი ათასი** ორმოცსა წელსა (კიმენი II); და დაეცა სიმრავლე **ოთხასი ათასისა** ბრძოლისაჲ (ხრონ.); ხოლო იუდასა შორის **ოთხას ოთხმეოცი ათასნი** კაცნი აღმომჴდელნი მახვლისანი (ხრონ.).

**ათასეულის** რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი ზოგჯერ ბრუნვაშიც კი შეიძლება იყოს შეთანხმებული ათასთან: უკუეთუ შემძლებელ არს **ათითა ათასითა** შემთხუევად ოცითა ათასითა მომავალისა ზედა? (ლუკა 14, 31);

მერმინდელ ძეგლებში სახელობითი ბრუნვა საბოლოოდ მკვიდრდება.

მაგალითად:

წარმომართა ლაშქრითა **ოცდაცამეტი ათასითა** (ანა დედოფ. ქ. ც.); და მოსწყუიდა სატლითა სარკინოხთაგან **ოცდათხუთმეტი ათასი** (იქვე); შენ მიანიჭე **შუიდას ოთხმეოცი ათასი** სული (იქვე); **ასი ათასი** წითელი შენ ქრთამად შეიწირეო („ვეფხისტყაოსანი“, 741); შეკრა წითელი **ასი ათასი** პირად მზემან და ტანად სარომან (იქვე, 771); შეყარნა სპანი, არაბეთს აღარა ხანსა ზმულია, კაცი **ოთხმეოცი ათასი**, ყველაი დაკაზმულია (იქვე, 1567); გვირაბის კარსა ჭაბუკი **ათი ათასი** მცველია (იქვე, 1392); **ათი ათასი** ჭაბუკი დგას ყველაკაი ხასები (იქვე, 1243).

განსხვავებული ვითარება გვაქვს უფრო მაღალი კლასის გამომხატველ რაოდენობითი რიცხვით სახელთა (**მილიონი, მილიარდი** და ა. შ.) გამოყენებისას. კერძოდ: მაშინ, როცა **ათასის** რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები ყოველთვის წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით, **მილიონს, მილიარდს** და სხვა მაღალი კლასის რიცხვით სახელებს მათი რაოდენობის გამომხატველი სახელი ისე შეეწყობა, როგორც ბრუნვაში შეთანხმებული ატრიბუტული მსაზღვრელი (შდრ.: **ორი ათასმა კაცმა** და **ორმა მილიონმა კაცმა, ორი ათას კაცს** და **ორ მილიონ კაცს** და ა. შ.).

მაგალითები:

მილიარდელს მორგანს, ან გენიოსს ედისონს **ასი-ორასი მილიონი** კაცი იცნობს, ისინი კი ათასსაც კი არ იცნობენ (მ. ჯავახიშვილი); საქართველოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი **ერთი მილიარდ სამოცდახუთი მილიონით** განისაზღვრა (ცვლილებები საგადასახადო კოდექსში); ხმა მისცა **ორმა მილიონმა** ამომრჩეველმა („სა-

ქართველოს რესპუბლიკა“); მომხმარებელთა რაოდენობა **სამ მილიონადს** აღწევს („რეზონანსი“).

ცალკე უნდა გამოიყოს რიცხვითი სახელის **თხუთმეტი** საკითხი. როგორც ცნობილია, რიცხვითი სახელები, **თერთმეტიდან** მოყოლებული, რთული შედგენილობისაა და ასეა მიღებული: **თერთმეტი – ათერთმეტისაგან** თავკიდური ა-ს ჩამოცილებით; ამგვარადვეა მიღებული: **თორმეტი – ათორმეტისაგან**, **თოთხმეტი – ათოთხმეტისაგან**, **თექვსმეტი – ათექვსმეტისაგან**, **ცხრამეტი – ათცხრამეტისაგან**. **ცამეტი** მიღებულია **ათსამმეტისაგან** თავკიდურა ა-ს ჩამოცილებით, ერთი მ-ს დაკარგვითა და **თს** ბგერების შერწყმით, **ჩვიდმეტი – ათშვიდმეტისაგან** თავკიდური ა-ს ჩამოცილებითა და **თშ** ბგერების შერწყმით, **თვრამეტი – ათრვამეტისაგან** თავკიდური ა-ს ჩამოცილებით და **ვ** ბგერის რ-ს წინ გადმოსმით.

**ათხუთმეტისაგან** თავკიდური ა-ს ჩამოცილებით მიღებულია **თხუთმეტი**, მაგრამ ზოგჯერ **თ-ც** იკარგება და რჩება **ხუთმეტი**. გარდა ამისა, გვხვდება **თუთხმეტიც** (განსაკუთრებით დასავლურ კილოებში და დასავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში). ეს ფორმა თოთხმეტის ანალოგიით არის მიღებული.

**ხუთმეტი: ხუთმეტი** [ურემი] ჩვენ კაცებში თავის გაჩენაში არ შებმულა (ი. ჭავჭავაძე); იანვრის „ცისკარი“... იმ პაწაწინა დაჭლექებულ მაისის „მოამბეზედ“ მარტო **ხუთმეტ** და ნახევარ ფურცლით არის მეტი (ი. ჭავჭავაძე); **ხუთმეტი** წელი გავიდა (ვაჟა-ფშაველა); ოცდაათის თუ **ოცდახუთმეტის** წლისა არისო (ე. ნინოშვილი); მემამულეს მოუტანინებია **ოცდახუთმეტ** თუმნად (ი. ჭავჭავაძე); ჩემი სიკო... ეს **ხუთმეტი** წელიწადია არ მინახავს (შიო არაგვისპირელი); დარჩა მხოლოდ ციხისთავი, **ხუთმეტი** ოსმალთა, ორასი მესხი და თოთხმეტი ზარბაზანი (მ. ჯავახიშვილი); ხუთ კომლამდე დიკა ჰქონდათ დათესილი, **ხუთმეტი** კოდის იმედი ჰქონდა (ვაჟა-ფშაველა); ქალიც გაიზარდა და მოიყარა თოთხმეტ-**ხუთმეტის** წლისა (თ. რაზიკაშვილი).

**თუთხმეტი:** სულ [ფერეიდნის] **თუთხმეტს** სოფელში ირიცხება დაახლოებით 7000 კომლამდე (ი. გოგებაშვილი); მომეცი **თუთხმეტი** მანეთი (ნ. ლორთქიფანიძე); ერთი **თუთხმეტი** ცხენოსანი მოვიყრიდით თავს (ნ. ლორთქიფანიძე); იმათთვის **თუთხმეტი** მანეთი დიდი ფული იყო (ე. ნინოშვილი); **თუთხმეტი** წელიწადი მე-

ზღვას ვიყავი (ს. კლდიაშვილი); ხვალის **თუთხმეტს** უნდა ჩამოხვიდე ჩემთან ქალაქში (დ. კლდიაშვილი).

**თხუთმეტი**: **თხუთმეტი** წლისა წყალში ღრმად შესული ათე-ნებდა ღამეს (გ. რჩეულიშვილი); ჩვიდმეტი წლის ბიჭი და, **თხუთმეტი** წლის, რადანაირად უფროსი, გოგო (გ. დოჩანაშვილი); ერთხმად გაიმეორა **თხუთმეტმა** ჯალათმა და **თხუთმეტი** ჯოხი კვლავ აღი-მართა (მ. ჯავახიშვილი); მხრებიდან უცებ **თხუთმეტი** წელი ჩამოაგ-დო, გულიდან ლოდი ჩამოიხსნა... (მ. ჯავახიშვილი); რას ბრძანებ? დღეის **თხუთმეტს** კი არა, **თხუთმეტი** წელიწადია, შე დალოცვილო, ვითმენთ და ვითმენთ, ხო იცი? (ნ. ლორთქიფანიძე); იქ ერთ დღი-ურზე ოთხმოცი კოდი ხორბალი მოჰყავთ, ჩვენში კი **თხუთმეტი** კო-დიც ძლივს მოვა (მ. ჯავახიშვილი); **თხუთმეტი** წელიწადია მოხუც ქალს კარშიაც კი არ გამოუხედავს (ნ. ლორთქიფანიძე).

**თხუთმეტი** ძირითადი ფორმაა სალიტერატურო ქართულისათვის „ვეფხისტყაოსნიდან“ მოყოლებული დღემდე („**თხუთმეტისა** წლისა ვიყავ, მეფე მზრდიდა ვითა შვილსა“ – „ვეფხისტყ.“ 332, 1).

იმ რიცხვით სახელებში, რომელთა შემადგენლობაში **ათი** შე-დის, **თ** შეერწყა მომდევნო თანხმოვანს იქ, სადაც ეს შერწყმა შესაძლე-ბელი იყო (**თს** → **ც**: **ათსა(მ)მეტი** → **თსა(მ)მეტი** → **ცამეტი**; **თშ** → **ჩ**: **ათშიდმეტი** → **თშიდმეტი** → **ჩვიდმეტი**). **თ** დარჩა იმ შემთხვევებ-ში, როცა შერწყმა შეუძლებელი იყო (**თორმეტი**, **თოთხმეტი**, **თექ-ვსმეტი**, **თვრამეტი**).

ერთადერთი შემთხვევა, როცა **თ** დაკარგულია, არის **ცხრამე-ტი**. აქ **თ** დაიკარგა იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებ-დით შეუძლებელ **თც** კომპლექსს, შერწყმა კი მიუღებელი იყო, რად-განაც აფრიკატი **ც** თვით შეიცავს **თ**-ს.

ამდენად, **თხუთმეტი** **თვრამეტის** რიგის ფორმაა და არა **ცხრა-მეტისა**. აქ სიტყვის დასაწყისში ჩვენ გვაქვს ქართულისათვის ბუნებ-რივი **თხ** კომპლექსი, რომლის გამარტივების საფუძველი არ არსე-ბობს. რაც შეეხება ფორმებს **ხუთმეტი** და **თუთხმეტი**, პირველი ამჟ-მად აღმოსავლური, ხოლო მეორე დასავლური დიალექტური ფორ-მაა.

რაც შეეხება რიგობით რიცხვით სახელებს, ისინი იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძისაგან **მე**- პრეფიქსისა და -**ე** სუფიქსის დართვით: **ორ**-ი – **მე-ორ-ე**, **ათ**-ი – **მე-ათ-ე**, **ცხრამეტ**-ი – **მე-ცხრამეტ-ე**, **ოც**-ი – **მე-ოც-ე**, **ორმოც**-ი – **მეორმოც-ე**, **ას**-ი – **მე-ას-ე**,

**ხუთას-ი – მე-ხუთას-ე, ათას-ი – მე-ათას-ე...** ყველა რიგობითი რიცხვითი სახელი (გარდა პირველისა) კვეცადია: მეორ-ის, მესამ-ის, მეოთხ-ის, ოცდამეხუთ-ის...

რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელები-საგან (რომლებიც ოცეულებსა და ათეულ-ერთეულებს ან ასეულებსა და ერთეულ-ათეულ-ოცეულებს ან ათასეულებსა და ასეულ-ოცეულ-ერთეულებს შეიცავს) რიგობითი რიცხვითი სახელები სხვადასხვაგვარად მიიღება: ოცეულების, ასეულების, ათასეულების და ა. შ. გამომხატველი რიცხვითი სახელები უცვლელი რჩება, საწარმოებლად აღებულია რიცხვითი სახელის ფუძე **ერთიდან ოცამდე**, ასევე ასეულთა გამომხატველი რიცხვითი სახელები. მათ ემატება **მე-პრეფიქსი** და **-ე** სუფიქსი. გამონაკლისს წარმოადგენს **ერთი**, რომლისგანაც რიგობითი რიცხვითი სახელი ჩვეულებრივი წესით (**მე-ერთ-ე**) მხოლოდ მაშინ იწარმოება, როცა ეს **ერთი** ოცეულების გამომხატველ სახელს ემატება (ოცდა-**მე-ერთ-ე**, სამოცდა-**მე-ერთ-ე**), ჩვეულებრივ კი **პირველი** იხმარება. ასე იყო ძველ ქართულში, ასეა ახალ ქართულშიც.

მაგალითები ძველი ქართულიდან:

ხოლო იყო გარდაცვალებად ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა **ას და მეორესა** წელსა (ხანძთ.); **ექუსას და მეერთესა** წელსა ცხორებისა მისისასა გამოვიდა კიდობნისაგან (ხრონ.); **ხუთ ათას მეხუთასესა** წელსა... სრულ იქმნა სიტყუა იგი (ხრონ.); ხოლო ინდიკატონსა **ოთხსა და ოცდამეერთესა** წელსა ჰერეკლეს მეფობისასა დაიპყრა (წარტყ.); გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხორებად ესე... დასაბამითგან გარდასრულთა წელთა **ექუს ათას ხუთას ორმეოცდა მეთოთხმეტესა** წელსა (ხანძთ.); ხოლო ჟამსა ჰასაკისა მისისათა **ოთხმეოცდამეცხრესა** წელსა შეისუენა მამამან ჩუენმან საბა (კიმენი I); ხოლო **ოცდამეცხრამეტესა** დღესა მოიყუანეს იგი (კიმენი I); აღესრულების ცხრად თთუედ **ოცდამეხუთმე** დღმ თთუსა დეკენზერისა (კიმენი II).

მაგალითები ახალი ქართულიდან:

პაპაჩემი **ოცდამეოთხე** კაცად იდგა, ჰერ კარტუზო (გ. დოჩანაშვილი); ინდოური მთელი თვე ზის კვერცხებზედ და **ოცდამათე** დღეს სჩეკავს ჭუკებსა (ი. გოგებაშვილი); მე ოცდასამი წლისა შევსრულდი და **ოცდამეოთხეში** გადავდექი (შიო არაგვისპირელი); წა-

სვლის დრო მაქვს, წასვლისა! ხუმრობა ხომ არ არის, **ოთხმოცდამეორეში** გადავდექი (ეკ. გაბაშვილი).

სხვადასხვა ტიპის ტექსტებში დასტურდებოდა როგორც **ოცდამეერთე**, ისე **ოცდაპირველი** ფორმაც:

**ოცდამეერთე** დღეს რომ საბუდართან მივედი, კვერცხებიდან კაკუნი მომესმა (ი. გოგებაშვილი); თუ **ოცდაპირველს** დღეს მივალთ საბუდართან, ვნახავთ, რომ წიწილები ნისკარტით ამტვრევენ ნაჭუჭსა და გარეთ გამოდიან (ი. გოგებაშვილი).

როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში გვხვდება სხვაგვარი წარმოებაც, როცა საწარმოებელ ფუძედ რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელის მთლიანი ფუძეა აღებული.

ძველი ქართული:

და დაყვეს ბრძოლათა შინა ოცი დღე და ესმოდეს ფილაკავანთა ძლიერად, ვიდრემდის დასცეს ზღუდღ ქალაქისად მეოცდაერთესა დღესა (წარტყ.); და თავადას იესუს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა (ლუკა 3, 28); და თავადას იესუს ეწყო ოდენ მეოცდაათესა წელსა (ლუკა, 3, 23).

ახალი ქართული:

[არსენას] ოცი თავი რომ ჰქონდეს, ოცივეს მოვჭრიდი – ისეთი ბრაზით სთქვა დავითმა, რომ მაიორს შეეშინდა, მეოცდაერთე ჩემიც არ მიაყოლოსო (მ. ჯავახიშვილი); **მეორმოცდაოთხე** ველი; **მეორმოცდაერთე** ველი; **მეორმოცდაორე** ველი („ნერვული სისტემის ტრავმული დაავადებანი“).

არის ნარევი წარმოების შემთხვევებიც:

სწორედ **მეოცდამეერთე** თავის მეხუთე სტრიქონზედ შევდექით (ი. ჭავჭავაძე); უფრო ქვევით, საბძლის ძირში, ოცი გლეხი გაქვავებულიყო და **მეოცდაპირველს** ერთადერთი თვალი ცალთვალა ბუსავით დაეჭყიტა (მ. ჯავახიშვილი).

პირველი რიგის ფორმებს (ოცდამეორე, ოცდამესამე...) გარკვეული ნაკლოვანებები აქვს. ჯერ ერთი, დარღვეულია წარმოების პრინციპი: როდესაც რთული ფუძისაგან ახალი ფუძეები იწარმოება, საწარმოებლად, ჩვეულებრივ, მთლიანი რთული ფუძეა აღებული და არა მისი შემადგენელი ერთ-ერთი ნაწილი. ამ მხრივ მეორე რიგის წარმოება (მეოცდაორე, მეოცდასამე...) უფრო თანამიმდევრულია და ეგუება ქართული სიტყვაწარმოების პრინციპს.

პირველი სახის წარმოებას სხვა უხერხულობაც ახლავს. მარტივი აგებულების რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან ნაწარმოები რიგობითი რიცხვითი სახელები არაბული ციფრებით გამოხატვის შემთხვევაში ასე იწერება: **მე-2, მე-7, მე-100**. როგორღა უნდა დაიწეროს რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან ნაწარმოები რიგობითი რიცხვითი სახელები, მაგალითად, **ოცდამეშვიდე, ოთხმოცდამეცხრე, ოთხმოცდამეცამეტე?** თუ ამგვარადვე დაიწერა (**მე-27, მე-89, მე-93**), მაშინ აღარ წაიკითხება როგორც **ოცდამეშვიდე, ოთხმოცდამეცხრე** ან **ოთხმოცდამეცამეტე**. ამიტომ ასეთი დაწერილობა გავრცელდა: **27-ე, 89-ე, 93-ე**.

დასაზუსტებელია ორ-, სამ- და მეტწევრიან რიგობით რიცხვით სახელთა დაწერილობის საკითხი. სირთულე მაშინ იქმნება, როდესაც ამგვარ რიცხვით სახელებს სიტყვიერად ვწერთ. ერთგვაროვნება არაა დაცული მათი დაწერილობისას. გვხვდება შემადგენელი ნაწილების როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე გაფორმების შემთხვევები: ას მეხუთე / ასმეხუთე, სამი ათას ოცდამეხუთე / სამიათასოცდამეხუთე... ამგვარი რიგობითი რიცხვითი სახელების ერთ სიტყვად დაწერის პრინციპი ვერ გატარდება დაწერილობის სირთულისა და სათანადოდ აღქმის გამო.

უნდა გატარდეს შემდეგი წესი: რიგობითი რიცხვითი სახელები ისე დაიწერება, როგორც შესაბამისი რაოდენობითი რიცხვითი სახელები – ანუ ამგვარი რთული რიცხვითი სახელის შემადგენელი თითოეული წევრი ცალ-ცალკე დაიწერება, ხოლო რიგობითობის მაწარმოებელი **მე-ე** კონფიქსი ბოლო კომპონენტს დაერთვის: **ას მეორე, ათას მეორასე, ათას ორას ოცდამეხუთე, ოთხი ათას მეორმოცე, ექვსი მილიონ შვიდი ათას ოცდამეთვრამეტე...**

მართალია, ყველა დასახელებული რიცხვითი სახელი, ორკომპონენტია და სამ- და მეტშემადგენლიანიც, ერთ ერთეულად მოიაზრება, მაგრამ ორზე მეტფუძიანი რიცხვითი სახელის ერთ სიტყვად დაწერა მოუხერხებელია მისი სიგრძის გამო.

**ათასის** რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი ყველა ბრუნვაში **ი** სუფიქსითაა წარმოდგენილი (ი თითქმის შეხორცებულია ფუძესთან). ამიტომ ბუნებრივი იქნება პარალელურ ვარიანტთაგან (**მეორათასე** და **მეორათასე, მესამათასე** და **მესამათასე**) **ი** სუფიქსიანი ფორმის გამოყენება: **მეორათასე, მესამათასე**. თუ **ათასის** მსაზღვრელია რთული შედგენილობის რიცხვითი სახელი, მაშინ დგე-



ბა საკითხი, როგორ უნდა ვაწარმოოთ მისგან რიგობითი რიცხვითი სახელი: ას ორი ათასი – **ას მეორიათასე** თუ **მეასორიათასე**? ასეთ შემთხვევებში **ათასი** და მისი რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი წარმოადგენს მსაზღვრელ-საზღვრულს, ამიტომ უმჯობესია, **მე-პრეფიქსი** დაერთოს თავში: **მეასორიათასე, მესამასორიათასე... მე-ე** კონფიქსი ერთგვარად კრავს ამგვარ რიცხვით სახელებს.

უცხოური წარმოშობის რიცხვითი სახელებისაგან (**მილიონი, მილიარდი...**) ნაწარმოებ რიგობით რიცხვით სახელებში მილიონის და მისთ. მსაზღვრელი სახელი ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი: **მეექვსმილიონე, მეშვიდმილიონე...**

აქტუალურია რიცხვითი სახელის **პირველი** არაბული ციფრებით გამოსახვის საკითხი. მას ამგვარად გამოსახვენ: **1-ლი** ან **1-ელი**. რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით სხვა ბრუნვებში? ამ რიცხვითი სახელის ციფრებით გამოსახვის საჭიროება განსაკუთრებით იჩენს თავს დოკუმენტების გაფორმებისას. **1-ლი** დაწერილობის შემთხვევაში სხვა ბრუნვებში გვექნებოდა: 1-ლმა, 1-ლს, 1-ლის...(1-ლმა მუხლმა, 1-ლ მუხლში, 1-ლ მუხლს...), რაც ერთგვარ უხერხულობას ქმნის დაწერილობის თვალსაზრისით. უმჯობესია **-ელ** ელემენტი ყველა ბრუნვაში სრულად შენარჩუნდეს. შესაბამისად, მართებულად უნდა ჩაითვალოს **1-ელი** დაწერილობა: 1-ელი, 1-ელმა, 1-ელს, 1-ელის, 1-ელით, 1-ელად.

მნიშვნელოვანია კიდევ ერთი საკითხი რიგობითი რიცხვითი სახელების გამოყენებისას. გასულ საუკუნეებში დასტურდებოდა პარალელური ფორმები: **მესამოცე წლები** და **სამოციანი წლები, მეოთხმოცე წლები** და **ოთხმოციანი წლები**:

ერს უჭირდა ორმოციანი და **ორმოცდაათიან** წლების განმავლობაში (ი. ჭავჭავაძე); მწერლობა ჩვენი, **ოცდაათიან** წლებში ხელახლად ფეხადგმული, პირველ ხანს უფრო შინაური საქმე იყო, ვიდრე საყოველთაო (ი. ჭავჭავაძე); წარსული საუკუნის **ოთხმოციან** წლებში მოიშალა „ნამესტნიკობა“ (დ. კლდიაშვილი), შდრ.: **მესამოცე** წლებმა ჩვენში აქა-იქ ვარდები დამყნა (ა. წერეთელი); სამწუხარო ის არის, რომ ამგვარ სახელთა რიცხვში ხედავთ **მესამოცე** და **მეოთხმოცე** წლების ზოგიერთ პატრიოტებსაც (ი. გოგებაშვილი); **მესამოცე** წლების მოღვაწეებში... ყველაზე წინ მებატებიან გ. წერეთელი, ს. მე-სხი და ნ. ნიკოლაძე (ა. წერეთელი).

დღეს პრაქტიკულად არ იხმარება **მეოთხმოცე, მესამოცე წლების** ტიპის ფორმები. უფრო ბუნებრივია **-იან** მაწარმოებლიანი ვარიანტები (ეს, რა თქმა უნდა, არ შეეხება შემდეგი ტიპის შესიტყვებებს; **მესამოცე რიგი, მეოთხმოცე გაზაფხული** და მისთ.). თანამედროვე ქართულ მწერლობასა და პრესაშიც ის მხოლოდ **-იან** ფორმანტით დასტურდება:

მე-19 საუკუნის **სამოციანი** წლებიდან დგება ახალი ერა ქართველი ხალხის ცხოვრებაში (გრ. აბაშიძე); განსაცვიფრებელი იყო **ოცდაათიანი** წლების ქართულ პროზაში თანამედროვეობის ისეთი მძაფრი აღქმა (ნ. დუმბაძე); ასე იცინოდნენ და გარეთ კი, ქალაქში, გარეთ მართლა სუსხი იდგა, **ორმოციანი** წლები, რა იყო იმასთან შუა იანვარი (გ. დოჩანაშვილი); ხალხისგან განსხვავებით არსებულმა რეჟიმმა „ბრჭყალები გამოყო“ და მივიღეთ გასული საუკუნის **ორმოცდაათიანი** თუ **სამოცდაათიანი** წლები, მივიღეთ 9 აპრილი („საქართველოს რესპუბლიკა“); **ოთხმოცდაათიანი** წლების დასაწყისში საქართველოში ვითარება ძალიან დაიძაბა („ახალი თაობა“); **სამოციანი** წლები იყო და ასე ღიად და პირდაპირ შვილების ნათლობას მაშინ ყველა ერიდებოდა („რეზონანსი“).

რიგობითი რიცხვითი სახელებისგან არის მიღებული წილობითი რიცხვითი სახელები: **მესამე – მესამედ – მესამედი; მეათე – მეათედ – მეათედი, მესამე – მესამედ – მესამედი.**

**ოცდამესამე, ოცდამეოთხე** და მისთ. ფორმებისაგან წილობითი სახელები იწარმოება ამგვარად: **ოცდამესამედი, ოცდამეხუთედი.** პარალელურად გვხვდება **მეოცდასამედი, მეოცდახუთედი** ფორმებიც, რომლებიც უმართებულოა.

აქვე უნდა აღინიშნოს სიტყვა **მეორადის** შესახებ თანამედროვე ქართულში. იგი მიღებულია **პირველადის** ანალოგიით. **პირველადი** მიღებულია **პირველის** ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგან. ამგვარადვე უნდა ყოფილიყო მეორედი, მაგრამ მის ნაცვლად **მეორადი** გვხვდება **მეორეულის** გვერდით.

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელების გამოყენებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. 1. სამი პარალელური ფორმიდან – **თხუთმეტი, ხუთმეტი** და **თუთხმეტი** – სალიტერატურო ქართულისათვის ერთადერთ მართებულ ფორმად მიჩნეულ იქნეს **თხუთმეტი.**

1. 2. ათასეულთა რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები ათასს სახელობითი ბრუნვის ფორმით უნდა შეეწყოს ყველა ბრუნვაში: **ორი ათასი კაცი, ორი ათასმა კაცმა, ორი ათას კაცს, ორი ათასი კაცის, ორი ათასი კაცით, ორი ათას კაცად.**

1. 3. **მილიონს, მილიარდს** და რიცხვთა მაღალი კლასის გამო-მხატველ სხვა რიცხვით სახელებს, რომლებიც ქართულში ნასესხე-ბია უცხო ენებიდან, მათი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სა-ხელი საერთო წესის თანახმად უნდა შეეწყოს, როგორც მსაზღვრელი სახელი: **ორი მილიონი კაცი, ორმა მილიონმა კაცმა, ორ მილიონ კაცს, ორი მილიონი კაცის, ორი მილიონი კაცით, ორ მილიონ კაცად.**

1. 4. სამი და მეტი ნაწილისაგან შემდგარ რთულ რიცხვით სა-ხელებში (**ორი ათას ხუთასი, ორი მილიონ სამი ათას ხუთასი, სამი მილიარდ ხუთასი მილიონ ოთხასი ათას ხუთასი...**) **მილიარდი, მი-ლიონი, ათასი** ფუძის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი, ხოლო მათი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები – სახელობითი ბრუნვის ფორმით. ამ შემთხვევაში ბრუნვის ნიშნებს დაირთავს მხო-ლოდ უკანასკნელი (საზღვრულისწინა) რიცხვითი სახელი:

სახ. <b>ორი ათას ხუთასი კაცი</b>	<b>ორი მილიონ ხუთასი ათას სამასი კაცი</b>
მოთბრ. <b>ორი ათას ხუთასმა</b>	<b>კაცმა ორი მილიონ ხუთასი ათას სამასმა კაცმა</b>
მიც. <b>ორი ათას ხუთას კაცს</b>	<b>ორი მილიონ ხუთასი ათას სამას კაცს</b>
ნათ. <b>ორი ათას ხუთასი კაცის</b>	<b>ორი მილიონ ხუთასი ათას სამასი კაცის</b>
მოქმ. <b>ორი ათას ხუთასი კაცით</b>	<b>ორი მილიონ ხუთასი ათას სამასი კაცით</b>
ვით. <b>ორი ათას ხუთას კაცად</b>	<b>ორი მილიონ ხუთასი ათას სამას კაცად</b>

1. 5. **და** კავშირით შეერთებული რიცხვითი სახელები უნდა დაიწეროს ერთად, ხოლო ყველა დანარჩენი – ცალ-ცალკე: **ოცდაერთი, ოცდაათი, ოცდაჩვიდმეტი, ორმოცდაცამეტი, სამოცდათხუთმეტი, ორმოცდაცხრამეტი** და მისთ. ცალ-ცალკე დაიწერება: **ას ერთი, ას შვიდი, ას ოცი, ას ორმოცდაათი, სამას ერთი, სამას ორმოცი, ათას შვიდას ოცდაათი, ათას ცხრაას ერთი, ოცი ათას შვიდასი, ოცი ათას შვიდას ოთხმოცი, ორასი ათას ხუთას ოცდაცამეტი, მილიონ ათას შვიდას ოცი, ხუთი მილიონ ხუთასი ათას შვიდას ოცდათერთმეტი** და მისთ.

2. რიგობითი რიცხვითი სახელების გამოყენებისას უნდა გა-ტარდეს შემდეგი წესები:

2. 1. რიგობითი რიცხვითი სახელის ორგვარი წარმოებიდან (**ოცდამეშვიდე და მეოცდაშვიდე, ოცდამეთხუთმეტე და მეოცდათხუთმეტე...**) სალიტერატურო ენაში ერთადერთ მართებულ ფორმად პირველი უნდა დარჩეს, რადგანაც იგი გაბატონებულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ე. ი. გვექნება: **ოცდამეხუთე** (და არა **მეოცდახუთე**), **ოცდამეჩვიდმეტე** (და არა **მეოცდაჩვიდმეტე**), **ორმოცდამეცამეტე** (და არა **მეორმოცდაცამეტე**), **ოთხმოცდამეთხუთმეტე** (და არა **მეოთხმოცდათხუთმეტე**) და ა. შ. ამის მიხედვით იქნება ნაწარმოები წილობითი რიცხვითი სახელები: **ოცდამეხუთედი** (და არა **მეოცდახუთედი**), **ოცდამეჩვიდმეტედი** (და არა **მეოცდაჩვიდმეტედი**), **ორმოცდამეცამეტედი** (და არა **მეორმოცდაცამეტედი**) და ა. შ.

2. 2. **ერთის** რიგობითი ფორმაა პირველი (და არა მეერთე), მაგრამ რთულ ფუძეში მართებული იქნება: **ოცდამეერთე, ორმოცდამეერთე, ას მეერთე**, უკუსაგდებია შემდეგი ტიპის წარმოება: **ოცდაპირველი, ორმოცდაპირველი, ას პირველი**.

2. 3. ყველა რიგობითი რიცხვითი სახელი (გარდა პირველისა) კვეცადია: მეორ-ის, მესამ-ის, მეოთხ-ის, ოცდამეხუთ-ის...

2. 4. რიგობით რიცხვითი სახელები არაბული ციფრებით გამოისახება შემდეგნაირად: თუ სახელი იწყება **მე-** პრეფიქსით (მეშვიდე, მესამოცე, მესაე...), მაშინ თავში უნდა დაიწეროს მე-, შემდეგ – დეფისი და ციფრი: **მე-15** (და არა **მე-15-ე**), ასევე გვექნება: მე-7, მე-60, მე-100 და სხვ. ხოლო თუ რიგობითი რიცხვითი სახელი არ იწყება მე- პრეფიქსით (ოცდამეშვიდე, ორმოცდამეთოთხმეტე, სამოცდამესამე, ას მეორე...), მაშინ ბოლოში უნდა დაერთოს **-ე** სუფიქსი, რომელიც ციფრისაგან დეფისით გამოიყოფა: **27-ე** (და არა მე-27 ან მე-27-ე), ასევე გვექნება: **54-ე, 63-ე, 102-ე...**

2. 5. რიცხვითი სახელის **პირველი** დაწერილობისას უპირატესობა მიენიჭოს სიტყვიერად ან რომაული ციფრით (**პირველი** ან **I**) გამოსახვას. **პირველი** არაბული ციფრით უნდა გამოისახოს შემდეგნაირად: **1-ელი, 1-ელმა, 1-ელს, 1-ელის...**

2. 6. შესიტყვებათაგან – **სამოციანი** წლები და **მესამოცე** წლები – მართებულად უნდა იქნეს მიჩნეული –იან მწარმოებლიანი ვარიანტი. გვექნება: **ოთხმოციანი** წლები, **სამოციანი** წლები, **ოთხმოცდაათიანი** წლები.

2. 7. რიგობითი რიცხვითი სახელების დაწერილობა უნდა განისაზღვროს ისევე, როგორც შესაბამისი რაოდენობითი რიცხვითი სახელებისა – ანუ ამგვარი რთული რიცხვითი სახელის თითოეული შემადგენელი წევრი ცალ-ცალკე დაიწერება, ხოლო რიგობითობის მაწარმოებელი მე-ე კონფიქსი ბოლო კომპონენტს დაერთვის: **ას მეორე, ათას ორას ოცდამეხუთე, ოთხი ათას მეორმოცე, ექვსი მილიონ შვიდი ათას ოცდამეთვრამეტე...**

2. 8. **მეორიათასე და მეორათასე, მესამიათასე და მესამათასე** ტიპის ფორმათაგან მართებულად უნდა იქნეს მიჩნეული ი სუფიქსიანი ვარიანტები: **მეორიათასე, მესამიათასე.**

უცხოური წარმოშობის რიცხვითი სახელებისაგან (**მილიონი, მილიარდი...**) ნაწარმოებ რიგობით რიცხვით სახელებში **მილიონის** და მისთ. მსაზღვრელი სახელი ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი: **მეექვსმილიონე, მეშვიდმილიონე...**

2. 9. ფორმათაგან **მეორეული და მეორადი** დასაშვებად იქნეს მიჩნეული ორივე თავ-თავისი ნიუანსობრივი სხვაობის გათვალისწინებით: სამეცნიერო ტერმინოლოგიაში (ძირითადად) – **მეორეული: მეორეული** მოვლენა, **მეორეული** დაავადება... რაიმეს ხელახალი გამოყენების ან დამატებითი ფუნქციის აღსანიშნავად – **მეორადი: მეორადი** ფაკულტეტი, **მეორადი** ავეჯი...

2. 10. რიგობითი რიცხვითი სახელების რომაული ციფრებით გამოსახვისას უნდა გატარდეს შემდეგი წესი: რომაულ ციფრს არც თავსა და არც ბოლოში არ უნდა დაერთოს რიგობითობის მაწარმოებელი აფიქსები: **VI, VIII, XIX, XX** (და არა მე-VI, VIII-ე, მე-XIX-ე).

Tea Burchuladze

## Spelling Cardinal and Ordinal Numbers

### Summary

The paper presents the issues of spelling cardinal and ordinal numbers in the modern Georgian literary language.

The relevant cases of writing simple and complex cardinal numbers in words are discussed separately. The attention is paid to spelling ordinal numbers both in words and numbers. It is important that considering these recommendations the general principle for presenting cardinal and ordinal numbers correctly has been used. The peculiarities of writing Roman numbers, their correct forms including the issues of affixation of Roman numbers with case makers has been identified.